

ვასო აბაშიძე

ქართული კომედიის „მეფე“, ვასო აბაშიძე 1854 წლის 22 ნოემბერს (4 დეკემბერს) დუშეთში დაიბადა. ის განგების რჩეულ ადამიანთა იმ რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ქართული თეატრის აღორძინების მისია დაეკისრათ.

ვასო აბაშიძის მამა, ალექსი აბაშიძე, დუშეთის სკოლის მასწავლებელი, ხოლო დედა, წარმოშობით უკრაინელი, ანასტასია შატოვსკაია, ქართული ენის ბრწყინვალე მცოდნე გახლდათ. 1858 წელს აბაშიძეების ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და პატარა ვასო საშუალო განათლების მისაღებად კეთილშობილთა სასწავლებელში (პირველი გიმნაზია) მიაბარეს. 1869 წლიდან ვ. აბაშიძემ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში განაგრძო, რომელიც 1872 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. 1872-77 წლებში იგი ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში, ხოლო 1877-79 წლებში შუშასა და ყაზახის (აზერბაიჯანი) გიმნაზიებში მასწავლებლად მუშაობდა.

ვასო აბაშიძის თეატრით გატაცება საოჯახო წარმოდგენებით დაიწყო, რომლებშიც ალ. სუმბათაშვილსა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად მონაწილეობდა. 1875-78 წწ. ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრის დადგმებში გამოდიოდა. მისი დებიუტი 1877 წ. თბილისის სახაზინო თეატრში შედგა, სადაც გ. სუნდუკიანის პიესაში „ხათაბალა“ ისაიას როლი ითამაშა. 1879 წ. იგი განახლებული ქართული პროფესიული თეატრის დასში მიიწვიეს.

ვ. აბაშიძე სამსახიობო ხელოვნების საკუთარ სკოლას წლების განმავლობაში ქმნიდა და ქართული თეატრის ისტორიაში კომედიური ჟანრის დიდოსტატის სახელით შევიდა. მის რეპერტუარში იყო სახასიათო როლები, ჰქონდა კარგი ხმა და სმენა, ამიტომ ხშირად მონაწილეობდა ოპერეტებში. ვ. აბაშიძე ითვლება ქართული ესტრადის ერთ-ერთ ფუძემდებლად, მონაწილეობდა დივერტისმენტებში, კონცერტებსა და ლიტერატურულ საღამოებში, სადაც დიდი ოსტატობით ასრულებდა ცხოვრებისეულ სცენებს, მღეროდა იუმორისტულ კუპლეტებს „ვაი-ვუის“ ხმაზე, რომელიც თვითონ შემოიღო. ის თანაბარი ოსტატობით თამაშობდა ქართულ ორიგინალურ, რუსულ და უცხო ენიდან ნათარგმნ პიესებში, რომელთაგან ზოგი მისსავე თარგმანს წარმოადგენდა. ვასო აბაშიძემ 500-მდე როლი განასახიერა. მათ შორის აღსანიშნავია: მიკირტუმ ტრდატიანი, კარაპეტა, დაბალოვი (გ. ერისთავის „გაყრა“, „ძუნწი“, „დავა“), გეურქა (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), საქო (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), ბესო (ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“), აკოფა, ავეტიკა, მაზუთიანი (ავქ. ცაგარელის „ხანუმა“, „რა ც გინახავს, ველარ ნახავ“, „ციმბირელი“), თეიმურაზ მეფე (აკ. წერეთელის „პატარა კახი“), გოროდნიჩი, ხლესტაკოვი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ისაია, ზიმზიმოვი (გ. სუნდუკიანის „ხათაბალა“, „პეპო“), ფულიანცი, სტიფანე (ნ. აზიანის „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“), სკაპენი, დონ ჟუანი (მოლიერის „სკაპენის ოინები“, „დონ ჟუანი“), ფამუსოვი (ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“), ბელოგუბოვი, შმაგა (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, „უდანაშაულოდ დამნაშავენი“) და სხვ. ასეთივე წარმატებით მონაწილეობდა ოპერეტებში: უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალალან“ და ლეკოკის „რაინდი უშიშარი“.

ვასო აბაშიძემ რეჟისორობა 1881 წლიდან დაიწყო. დადგა მრავალი სხვადასხვა ჟანრის პიესა. კ. მესხთან და მ. საფაროვასთან ერთად იყო თბილისის თეატრის ანტრეპრენიორი და თეატრი დახურვისგან არაერთხელ გადაარჩინა. ქართული თეატრის ერთგულ მსახურთ, თეატრისთვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ხშირად დამამცირებელ მდგომარეობაში ყოფნაც უწევდათ. ერთ-ერთი ასეთი კრიზისის დროს, დ. ერისთავის „სამშობლოს“ დადგმისთვის საჭირო თანხა, თეატრის იმდროინდელ ანტრეპრენიორებს, კ. მესხსა და ვ. აბაშიძეს არ გააჩნდათ. ამიტომაც გადანყვიტეს ფულის საშოვნელად ცნობილი ბანკირისთვის, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელისთვის მიემართათ. ვ. აბაშიძე და კ. მესხი მას თავად ეახლნენ, თეატრის გასაჭირი უამბეს და სესხად, ექვსი თვის ვადით 500 მანეთი სთხოვეს, რაზედაც მტკიცე უარი მიიღეს. თეატრის მესვეურები მაინც არ მოეშვნენ... უმტკიცებდნენ, რომ ქართული თეატრი ეროვნული საქმეა, რომ მის აღორძინებას დიდი მნიშვნელობა აქვს და

ძალა არ დაიშურეს სასურველი მიზნის მისაღწევად. ბანკირი დუმდა... ცოტა ხნის შემდეგ კი სიცილი აუვარდა და ვასო აბაშიძეს მიმართა: „შენ ის არა ხარ, გუშინწინ წარმოდგენის დროს რომ შეხტი, შემოზრიალდი და ყველანი აცინე? აბა ეხლაც შეხტი, შემოტრიალდი და ფულს მოგცემო“. კეთილშობილი წარმომავლობის მსახიობი სიბრაზისაგან აცახცახდა, მაგრამ თეატრისადმი თავდადებას გადაწონა და მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ, ხეპრე ბანკირს სურვილი შეუსრულა: შეხტა, ცალ ფეხზე შემოტრიალდა და თან დააყოლა: „იფ, კნიაზჯანი!“. ბანკირს სიცილი აუვარდა და როცა დამშვიდდა, დაპირებული 500 მანეთი მისცა. წარმოდგენისთვის ფულის შოვნით გახარებულებმა აღარაფრად ჩააგდეს ბანკირის მხრიდან ასეთი ახირებული საქციელი.

ვასო აბაშიძის რეჟისორობით ქართულ სცენაზე დაიდგა შექსპირის „ჰამლეტი“, „ვენეციელი ვაჭარი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ავქ. ცაგარელის „ხანუმა“ და სხვ. თბილისის თეატრში მუშაობის გარდა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, ქალაქსა თუ სოფელში დგამდა სპექტაკლებს, თამაშობდა და ქმნიდა დასამახსოვრებელ სახეებს. 1885-91 წლებში რედაქტორობდა პირველ სათეატრო გაზეთს „თეატრი“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა თეატრალური ხელოვნების გაშუქების საქმეში. საფუძველი ჩაუყარა ქართული თეატრის რეპერტუარის ისტორიას, რომლის მასალებსაც აქვეყნებდა გაზეთ „თეატრში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. გამოსცა კრებულები: „პანთეონი“, „ჩანგი“, „ჩვენი თეატრი“. მის კალამს ეკუთვნის პირველი თეატრალური ნაშრომი „მოკლე ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ“.

ვასო აბაშიძე „ქართული დრამატული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელია. მას არაერთხელ გადაუხადეს სასცენო მოღვაწეობის იუბილე: 1887 წ. – 10 წლის იუბილე, 1902 წ. – 25 წლის იუბილე, 1922 წ. – 50 წლის იუბილე და ამავე წელს, ქართველ მსახიობთაგან პირველს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ვასო აბაშიძე 1926 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. შალვა დადიანმა ასე შეაფასა მისი ღვაწლი: „დაიკეცა დიდი წიგნი მეცხრამეტე საუკუნის ქართული თეატრისა...“

ვასო აბაშიძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ვასო აბაშიძის, ქ. შუშაში სამრევლო და დაწყებით სკოლებში პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი მოწმობა.

1878 წ. 14 მაისი. ქ. შუშა. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. კავკასიის სასწავლო ოლქის საკომისიო წიგნების მაღაზიის მეპატრონის, სოლომონ ვართანოვის წერილი ვასო აბაშიძისადმი. სთხოვს, დაეხმაროს დაგკესამანის სასწავლებელში გაგზავნილი წიგნების საფასურის (10 მან. 50 კაპ.) მიღებაში, რომელსაც სასწავლებლის ზედამხედველისადმი მისი მრავალგზის მიმართვის მიუხედავად, სასწავლებლის ხელმძღვანელობა არ უნაზღაურებს.

პირი: ვართანოვი, დივანოვი, პეტროვი, ტერ-მიხაილოვი.

1879 წ. 8 თებერვალი. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

3. ვასო აბაშიძის შვებულების დამადასტურებელი მოწმობა (1879 წ. 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე).

1879 წ. 25 მაისი. ელიზავეტოპოლი. ხელნაწერი. მელანი. გერბიანი ბეჭდით. ხელს აწერს: ქ. ელისავეტოპოლის სახალხო სასწავლებლების სამმართველოს დირექტორი – ლ. ატიაპოვი (?). რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. ერევნისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიების სახალხო სასწავლებლების დირექტორის წერილი ვ. აბაშიძისადმი, მარიამ საფაროვაზე დაქორწინების ნებართვის შესახებ.

1879 წ. 14 სექტემბერი. ელიზავეტოპოლი. ხელნაწერი. ხელს აწერს: დირექტორი (გვარი არ იკითხება). რუსულ ენაზე. 1 გვ.

5. დაგკესამანის სასოფლო სასწავლებლის გამგის შეტყობინება ვასო აბაშიძისადმი, ავადმყოფობასთან დაკავშირებით, მისთვის ორთვიანი შვებულების მიცემის შესახებ, ხელფასის შენარჩუნებით.

1879 წ. 27 ოქტომბერი. სოფ. დაგკესამანი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

6. დაგკესამანის ორკლასიანი სასოფლო სასწავლებლის ზედამხედველის შეტყობინება ვასო აბაშიძისადმი, რომელშიც ამცნობს, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მეურვემ, თანახმად მისი მოთხოვნისა, მიმდინარე წლის 24 ნოემბრიდან გათავისუფლებულია სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობიდან.

1879 წ. 12 დეკემბერი. სოფ. დაგკესამანი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. ერევნისა და ელისავეტოპოლის გუბერნიების სახალხო სასწავლებლების დირექტორის წერილი ვასო აბაშიძისადმი. აცნობებენ, რომ 14 დეკემბერს მიღებული მისი თხოვნის თანახმად, ავადმყოფობის გამო, 24 ნოემბრიდან ვასო აბაშიძე გათავისუფლებულია სამსახურიდან. სამსახურში უკან დაბრუნების სურვილის შემთხვევაში სთავაზობენ თხოვნის გაგზავნას.

1879 წ. 21 დეკემბერი. ელისავეტოპოლი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. ქართული დრამატული საზოგადოების წერილი ვ. აბაშიძისადმი. სთხოვენ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისო წარმოდგენის მომზადებას.

1896 წ. 8 დეკემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. გერბიანი ბეჭედი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

9. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წერილი ვ. აბაშიძისადმი, სთხოვენ 2 იანვარს დანიშნული საიუბილეო სპექტაკლის რეჟისორობას, ვლ. ალექსი-მესხიშვილის ქუთაისში ყოფნის გამო.

1896 წ. 29 დეკემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: გამგეობის თავმჯდომარის მაგივრად, პეტრე ყიფიანი და გამგეობის მდივანი გ. ლასხიშვილი. შავი მელანი. 1 გვ.

10. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წერილი ვ. აბაშიძისადმი, სთხოვენ არტისტ გ. გედევანოვის საბენეფისო პიესის რეჟისორობას.

1897 წ. 30 იანვარი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს ნ. ისარლიშვილი. შავი მელანი.

გერბიანი ბეჭედი. 1 გვ.

11. ვასო აბაშიძის პასპორტი (უვადო).

1898 წ. 2 ივნისი. გაცემული ტფილისის პოლიციის მიერ. დასტამბული, შევსებული ხელნაწერით. შავი მელანი. რესტავრირებული. რუსულ ენაზე. 24 გვ.

12. ერევნის და ელისავეტოპოლის გუბერნიების სახალხო სასწავლებლების დირექტორის, ვ. ლევიტინის შეტყობინება ვასო აბაშიძისათვის შემდეგი პირადი საბუთების გაგზავნის თაობაზე: ატესტატი, დაბადების მოწმობა, წარმომავლობის (თავადი) დამადასტურებელი საბუთი, ცნობა ყვავილზე აცრის შესახებ, ტფილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების მოწმობა, საბუთი ქ. შუშას სასწავლებლიდან.

1880 წ. 30 ნოემბერი. ელისავეტოპოლი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

13. ქართული დრამატული საზოგადოების წერილი ვ. აბაშიძისადმი. აუწყებენ რეჟისორად დანიშვნას.

1901 წ. 28 ივლისი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: გამგეობის თავმჯდომარე და მდივანი (გვარები არ იკითხება). 3 გვ.

14. ქართული დრამატული საზოგადოების წერილი ვასო აბაშიძისადმი. აუწყებენ, რომ პირველი სპექტაკლი უნდა გაიმართოს 9 სექტემბერს და დაიდგას „ციხის საიდუმლო“, ან „ფული და ხარისხი“.

1901 წ. 30 აგვისტო. ტფილისი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს: მდივანი გ. რცხილაძე. შავი მელანი. 1 გვ.

15. ქართული დრამატული საზოგადოების წერილი ვ. აბაშიძისადმი. წერილი შეეხება ქართული დრამატული საზოგადოების მიერ 1901 წ. 24 ოქტომბრის სხდომაზე რეჟისორსა და არტისტებს შორის ურთიერთობის გადასინჯვას. ატყობინებენ, რომ უგზავნიან დასში ჩარიცხული მსახიობებისა და სცენაზე დასადგმელად მოწონებული პიესების სიას.

1901 წ. 25 ოქტომბერი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს: გ. რცხილაძე. მელანი. 4 გვ.

16. ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდ. ნ. ქართველიშვილის წერილი ვ. აბაშიძისადმი, ბიბლიოთეკის პიესებით შევსების შესახებ.

1902 წ. 8 აპრილი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს ნ. ქართველიშვილი. 2 გვ.

17. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის შეტყობინება ვ. აბაშიძისადმი, მისი დასში მიღების, ჯამაგირისა და სხვა პირობების შესახებ.

1903 წ. 18 ივლისი. ტფილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე – ნ. ქართველიშვილი და გამგეობის მდივანი – გ. რცხილაძე. 1 გვ.

18. თბილისის არტისტული საზოგადოების წერილი ვასო აბაშიძისადმი, საზოგადოების საზაფხულო შენობაში გამართულ საღამოზე ვასო აბაშიძის მიწვევის თაობაზე.

1907 წ. 18 სექტემბერი. ტფილისი. დასტამბული. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

19. იოსებ იმედაშვილის წერილი ვასო აბაშიძისადმი. ატყობინებს, მის მიერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის“ შედგენის შესახებ და სთხოვს გაუგზავნოს თავისი ანკეტური მონაცემები, რადგან ამ წიგნში ვასო აბაშიძის სახელიც არის შესული.

1918 წ. ტფილისი. ბაზრის ქუჩა 20, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“. დასტამბული. ხელს აწერს: იოსებ იმედაშვილი. 1 გვ.

20. სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულება – ვასო აბაშიძეზე ყოველთვე 1 500 მანეთის გაცემის შესახებ.

1919 წ. 29 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

21. ამიერკავკასიის ბანკის მოსამსახურეთა საზოგადო კრების ოქმი, სადაც მიღებულია გადაწყვეტილება ვასო აბაშიძისათვის ფინანსური დახმარების განევის შესახებ.

1919 წ. 29 ნოემბერი. ტფილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

22. ვასო აბაშიძის მეუღლის, მარიამ საფაროვა-აბაშიძის მინდობილობა ვასო აბაშიძის სახელზე, პენსიის მიღებასთან დაკავშირებით,

1920 წ. 2 თებერვალი. ხელნაწერი. ხელმოწერით (გვარი არ იკითხება). დამტკიცებული

ნოტარიუსით. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

23. ამიერკავკასიის ბანკის გამგეობის შეტყობინება ვ. აბაშიძისადმი, ამიერკავკასიის ბანკის მომსახურეთა 29 ნოემბრის სხდომის ოქმის ასლის გამოგზავნის შესახებ.
1920 წ. 7 დეკემბერი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელმოწერით (გვარი არ იმკითხება). 1 გვ.

24. საქართველოს ცენტრალური სავაჭრო სამრეწველო ბანკის გზავნილი ვ. აბაშიძისადმი, რომელშიც აცნობებენ, რომ ენიშნება დახმარება ყოველთვე 10 000 მანეთის ოდენობით.
1920 წ. 23 დეკემბერი. ტფილისი – „ცენტრობანკი“. ნაბეჭდი. ხელს აწერს საქმეთამართველი (გვარი არ იკითხება). 1 გვ.

25. აღმასრულებელი საბჭოს და დეპუტატთა სხდომის ოქმის ამონაწერი, ვასო აბაშიძის იუბილესთან დაკავშირებით.
1922 წ. 5 იანვარი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს საქმეთამართველი (გვარი არ იკითხება). რუსულ ენაზე. 1 გვ.

26. ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს შემოსავალ-გასავლის ანგარიში.
1922 წ. 16 თებერვალი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე – ა. ქვარცხავა, ხაზინადარი – გვარი არ იკითხება და მდივანი – ლ. ჩხაიძე (?). 1 გვ.

27. ვასო აბაშიძის საიუბილეო ხარჯთაღრიცხვები.
1922 წ. 23 თებერვალი. ტფილისი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ურუშაძე, ხელაძე, ალ. იმედაშვილი, გ. ფრონისპირელი და მდივანი – ვ. ჯიქია (?). ქართულ და რუსულ ენებზე. 8 გვ.

28. სახელმწიფო აკადემიური თეატრების სამმართველოს უფროსის მიმართვა ელექტროსადგურის უფროსისადმი, ვ. აბაშიძის ბინის ელექტროქსელში დაუყოვნებლივ ჩართვის შესახებ.
1922 წ. ტფილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

29. ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს ხარჯთაღრიცხვა (14 ბარათი).
1922 წ. ხელნაწერი. ხელს აწერენ: გ. გალუსტოვი, ალ. გველესიანი, ბ. თეთრაძე, ისაბეგოვი, ლ. ნულუკიძე, ვ. ჯიქია, ვლ. ფანიასვილი. 22 გვ.

30. სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მსახიობთა კულტსექციის თავმჯდომარის, აკ. ფალავას წერილი ვასო აბაშიძისადმი. სთხოვს თანამშრომლობას სასცენო ხელოვნებისადმი მიძღვნილი ჟურნალის – „2 იანვარი“, გამოსაცემად მომზადებაში. ამასთანავე, ჟურნალის რედაქცია სთხოვს ვ. აბაშიძეს, აცნობოს მათ თანხმობა და ჟურნალში განსათავსებელი წერილის სათაური, არაუგვიანეს ორი კვირისა.
1923 წ. 5 ნოემბერი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს აკ. ფალავა. მელანი. 1 გვ.

31. ვასო აბაშიძის სსსრ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის წევრობის დამადასტურებელი წიგნაკი.
1925 წ. დასტამბული. ხელს აწერენ: კავშირის თავმჯდომარე და მდივანი (გვარები არ იკითხება). ქართულ და რუსულ ენებზე. 71 გვ.

32. ვასო აბაშიძის რუსთაველის თეატრში შესასვლელი საშვი.
1925-26 წწ. ტფილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: თავმჯდომარე – ი. გედევანიძე და გამგე – ს. ამაღლობელი. 1 გვ.

33. ვასო აბაშიძის სახელმწიფო ოპერის თეატრში შესასვლელი საშვი.
1925-26 წწ. ტფილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: თავმჯდომარე – ი. გედევანიძე და გამგე (გვარი არ იკითხება). 1 გვ.

34. ვ. აბაშიძის „მთლიანი მუშათა კოოპერატივის“ სანევრო წიგნაკი.
1926 წ. 11 მარტი. ტფილისი. დასტამბული, შევსებული ხელნაწერით. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

35. ქართული დრამატული საზოგადოების წერილი ვ. აბაშიძისადმი. ინვევენ თბილისის სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში ქართული თეატრის შექირვებულ მდგომარეობაზე სათათბიროდ.

უთარილო. 17 აგვისტო. ტფილისი. დასტამბული. 1 გვ.

36. ვ. აბაშიძის განცხადება საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობისადმი, მისი სახელმწიფო ხარჯზე აყვანის შესახებ.

უთარილო. ტფილისი. ავტოგრაფი. 1 გვ.

37. თეატრის დასის მსახიობთა ხელფასის უწყისი.

უთარილო. ტფილისი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

38. ვასო აბაშიძის უბის წიგნაკი, მოკლე ავტობიოგრაფიითა და მაკო საფაროვას ბიოგრაფიით.

უთარილო. ავტოგრაფი (აკლია 3 გვ.). 14 გვ.

39. ვ. აბაშიძის წიგნაკი ჩანაწერებით ფულის გასესხებასთან, დასასვენებლად გამგზავრებასთან და სხვადასხვა შეხვედრებთან დაკავშირებით.

პირი: მღვდელი იოაკიმე გორგაძე, ალ. სულიკაშვილი, კონო ანდრონიკაშვილი, დ. თაყაიშვილი, ა. ჟღენტი, ნ. რიაბუხინი, ლ. კერესელიძე, ფ. მახარაძე, ბ. მდივანი, ბ. ბიბილეიშვილი, ლ. დუმბაძე, ნუცუბიძე, ვაშაძე, მელიქიშვილი, ცაგარელი, მიხა ჩოდრიშვილი, იასონ ბაქრაძე, კ. ხუნდაძე, ს. მუსელიძე, ხუხუნაშვილი, ვ. მახარაძე, ენუქიძე, ნიკოლეიშვილი. უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. 21 გვ.

40. ვასო აბაშიძის წიგნაკი სხვადასხვა ჩანაწერებით: 1879 წ. 31 ოქტომბერს, პიესა „ცელქების“ პირველი წარმოდგენის შესახებ, გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ვასო აბაშიძის წერილების ჩამონათვალი, ლექსი „Друг“, რუსულ ენაზე.

პირი: კოტე მესხი, მ. საფაროვა, ნატო გაბუნია, ბ. კუხიანიძე, ნ. გამრეკელი. უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. 10 გვ.

41. რუსეთის სხვადასხვა გაზეთების თანამშრომლთა წერილი ვასო აბაშიძისადმი. სთხოვენ, აცნობოს მათ თავისი მოსაზრება, კავკასიაში ნაციონალური კონფლიქტების მიზეზების შესახებ.

უთარილო. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

42. ქართული თეატრის მსახიობთა თხოვნა თეატრის მმართველი ამხანაგობისადმი. დასის წევრები საჩივარს გამოთქვამენ რეჟისორ კოტე მესხის არასამართლიან მოქმედებაზე მსახიობ კ. სვიმონიძის მიმართ.

უთარილო. ტფილისი. ვ. აბაშიძის ავტოგრაფი. შავი მელანი. 5 გვ.

43. საქართველოს მთავარი სახელოვნო კომიტეტის მიმართვა თეატრისადმი (თეატრი არ არის მინიშნებული), ვ. აბაშიძის 50 წლის იუბილეს გამართვის შესახებ.

უთარილო. ტფილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

44. ვასო აბაშიძის სიტყვა ავქ. ცაგარელის ხსოვნისადმი მიძღვნილ წარმოდგენაზე, 1903/4 წწ. სეზონის გახსნისას.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.

შემაჯავებელი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

შესრულებული როლები

45. ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“. რეჟ. – ალ. ნუნუნავა. ბესოს როლში ვასო აბაშიძე.

1920 წ. ნაბეჭდი. 11 გვ.

46. ერისთავის „გაყრა“. მიკირტუმას როლში ვასო აბაშიძე (კ. ანდრონიკაშვილის მიწვევით).

1922 წ. 5 იანვარი. ხელნაწერი. რვეული. 21 გვ.

47. შ. დადიანის „გუმინდელი“. გენერლის როლში: ვასო აბაშიძე.
უთარილო. ხელნაწერი. 4 გვ.
48. ვასო აბაშიძე ხოჯა სააკას როლში.
უთარილო. ავტოგრაფი. რვეული. 16 გვ.
49. ვასო აბაშიძე ქარაფშუტას როლში (მესამე მოქ.).
უთარილო. ავტოგრაფი. რვეული. 14 გვ.
50. ვ. გუნიას „აღლუმი“. ჭარხალაძის როლში – ვასო აბაშიძე.
უთარილო. რვეული. ავტოგრაფი. 15 გვ.
51. ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ – მიკირტუმას როლში ვასო აბაშიძე, რეჟისორი – კ. მარჯანიშვილი.
უთარილო. ხელნაწერი. მწვანე მელანი. რვეული. 12 გვ.
52. შირვანზადეს „ნამუსისათვის“. ელისბარიანის როლში ვასო აბაშიძე.
უთარილო. ავტოგრაფი. რვეული. 28 გვ.
53. ვ. შვედენაძის „სიყვარულის მსხვერპლი“. მესამე მოქმედება.
უთარილო. ხელნაწერი. რვეული. 30 გვ.
54. „ახალი ძალა“, 3 მოქ. დრამა. ვასო აბაშიძის თარგმანი. მოქმედ პირთა სია.
უთარილო. ავტოგრაფი. 2 გვ.
55. ვასო აბაშიძის როლების სია მუსიკალური ნაწარმოებების ჩამონათვალით (განლაგებული ანბანის მიხედვით).
უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. ორი ბლოკნოტი. 32 გვ.
56. „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, მელოდრამა 5 მოქმედებად, პროლოგითა და ეპილოგით; თარგმანი ვ. გუნიასი.
უთარილო. ვასო აბაშიძის ავტოგრაფი. შავი მელანი. რვეული. 111 გვ.

ვასო აბაშიძის სხვადასხვა იუბილესთან დაკავშირებული მასალები

57. ქართული დრამატული საზოგადოების მოწოდება ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის გამართვისა და ფულადი დახმარების შესახებ.
1902 წ. 22 თებერვალი. ტფილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე – ნ. ქართველიშვილი, გამგეობის მდივანი – გ. რცხილაძე. 1 გვ.
58. ქართული დრამატული საზოგადოების მოწოდება ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი დღესასწაულის გამართვისა და ფულადი დახმარების შესახებ.
1902 წ. 27 თებერვალი. ტფილისი. დასტამბული. ხელს აწერენ: ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე – ნ. ქართველიშვილი, მდივანი – გ. რცხილაძე. 1 გვ.
59. ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის საიუბილეო მილოცვა, ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობისგან.
1902 წ. 10 მარტი. ქუთაისი. ხელნაწერი. შავი მელანი. მოთავსებულია ყდაში. 2 გვ.
60. ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეო მილოცვები: ქ. ჩხიკვაძე – ვ. აბაშიძის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია; ი. გედევანიშვილი, სუფლიორი ბეგლარიძე, ი. გარსევანიშვილი, ვ. კირვალიძე, ს. ქვარიანი, ნინო ორბელიანი, კ. მესხი და ეფ. მესხი იუბილარს ულოცავენ ლექსებით.
1902 წ. ტფილისი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. 16 გვ.

61. ქ. ფოთის ქალთა საზოგადოების მილოცვა ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

1917 წ. 18 ივნისი. ფოთი. ხელნაწერი. 1 გვ.

62. ვასო აბაშიძის მოღვაწეობის 40 წლის საიუბილეო მისალოცი.

1918 წ. 15 აპრილი. ხელნაწერი. სომხურ ენაზე. 3 გვ.

63. ფოთის აფთიაქებში მომსახურეთა პროფესიონალური კავშირის მილოცვა ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

1920 წ. 18 ივნისი. ფოთი. ხელნაწერი. ხელს აწერს: აფთიაქების მომსახურე პერსონალის სახელით ალექსანდრე ხოჭოლავა. 1 გვ.

64. საიუბილეო კომიტეტის მოწოდება 1922 წ. 15 იანვარს რუსთაველის თეატრში ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს დანიშვნის შესახებ.

1921 წ. დეკემბერი. ტფილისი. დასტამბული. ორი ეგზემპლარი. 1 გვ.

65. მიშა ქორელის საიუბილეო მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, მისი სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 15 იანვარი. ავტოგრაფი. წითელი მელანი. 2 გვ.

66. ჭიათურის საზოგადოების სახელით, ისიდორე ვარაზაშვილის მისასალმებელი სიტყვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 15 იანვარი. ტფილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

67. მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობების მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. 20 იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მარია ერმოლოვა (სახალხო არტისტი), ე. ლეშკოვსკაია (დამსახ. არტისტი), შუხმინა, კოსტრომსკაია, იაკოვლევა და თეატრის დირექციის წარმომადგენლები. რუსულ ენაზე. 1 კ. 2 გვ.

68. რუსთაველის თეატრის ტექნიკური პერსონალის მისალოცი ბარათი ვ. აბაშიძისადმი, 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

1922 წ. თბილისი. ხელნაწერი. ხელმოწერებით. 1 გვ.

69. გორის დრამატული წრის სახელით, იოსებ ხუციშვილის მისალოცი წერილი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1922 წ. გორი. ხელნაწერი. ფანქარი. 1 გვ.

70. ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის მომწეობი კომიტეტის სხდომის ოქმები, სადაც განხილულია იუბილეს წარმართვის პროგრამა.

პირი: შ. დადიანი, ვ. ჯიქია, დ. კანდელაკი, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ტუგანოვი, ვ. ფანიაშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ყურულაშვილი, მამულაშვილი.

1922 წ. ტფილისი. ხელნაწერი. მწვანე მელანი. რვეული. 8 გვ.

71. ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს მომწეობი კომიტეტის მიმართვა ოპერის თეატრის დირექციისადმი, თუ რა ფორმით მიიღებს ოპერის თეატრი საიუბილეო საღამოში მონაწილეობას.

უთარილო. ტფილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

72. ვასო აბაშიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო ადრესები, ლექსები და წერილები. ტვიფრულ ყდაში მოთავსებული, აკინძული, დათარიღებული 1902 წლის 10 მარტით. სხვადასხვა წლების საიუბილეო მილოცვები თეატრებისა და კერძო პირებისაგან.

დოკუმენტების მიმღებრობითი აღწერილობა:

დუშეთის ქართული საზოგადოების მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 10 მარტი. მხატვრულად გაფორმებული; ადრესის ზედა მარცხენა კუთხეში ვასო აბაშიძის, ფანქრით შესრულებული, ჩარჩოში ჩახატული პორტრეტით, რომელზეც დაფნის გვირგვინი უჭირავს ფერადი საღებავით შესრულებულ, ქართული ტანისამოსით შემოსილ ქალს. მარჯვენა კუთხეში ჩახატულია მზე, რომლის სხივებზეც, წითელი ფერის

მელნით ვასო აბაშიძის როლების ჩამონათვალია. ვასო აბაშიძის პორტრეტთან დახატულია დაირა და ფანდური, ანერია 1877-1902 (ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის თარიღები). მისალოცი ტექსტი იწყება გამშვენებული საზედაო ასოთი – „დ“. ავტოგრაფებით: აბელ იაშვილი, ბარბარე იაშვილისა, კ. მარიამ სიდამონ-ერისთავისა, პელაგია საძაგლიშვილი, თავ. იოსებ ვასილის – ძე სიდამონ-ერისთავი, დავით ხიზანაშვილი, სოლომონ ზანდუკელი, გიორგი მრეველიშვილი, ვლ. კორინთელი, თავ. ა. ფალავა, ნ. ყორანაშვილი, ვლ. ლაზარიშვილი და სხვ. დუშეთი. ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

ტფილისის ქართველ მსახიობთა მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი. გამოხატავენ მადლიერებას, დიდ სიყვარულსა და თაყვანისცემას.
ტფილისი. ხელნაწერი. დასტამბული, გარშემო ოქროსფრად მოვარაყებული არშით; ბარათის შუა ზედა ნაწილში, ასევე ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ზამთრის პეიზაჟის აპლიკაციით. მილოცვას ხელს აწერენ: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, დ. აწყურელი, ა. ადამიძე, ს. სვიმონიძე, ელ. ნებიერიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, შ. საფაროვი, ნ. სარჯველაძე, მარიამ საფაროვი-აბაშიძისა, ვარო ნებიერიძისა, ტასო აბაშიძე, ო. ლეჟავა, კ. შათირიშვილი, ა. იმედაშვილი, ქეთო ანდრონიკოვა, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარელისა, ე. ანტონოვსკისა, ზოს. ივანიძე, ბ. ბეგლარიძე. შავი მელანი. 1 გვ.

წიგნების გამომცემელი ქუთათური ამხანაგობის გამგეობის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი.
1902 წ. 14 მარტი. ქუთაისი. ხელნაწერი. იისფერი მელანი. 1 გვ.

საჩხერის ახალგაზრდობის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი.
1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. ხელმოწერებით: თავ. ილიკო ნიჟარაძე, აზ. დათიკო მაჭავარიანი და სხვ. შავი მელანი. 3 გვ.

ქუთაისის ვაჭართა წრის მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით (ხელმოწერებით).
1902 წ. 14 მარტი. ქუთაისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

ივანე თორთლაძის ლექსად მილოცვა, მიძღვნილი ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

უცნობი ავტორის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

ლადო ახოზაძის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მისი ნიჭისადმი თაყვანისცემის ნიშნად კ. თელიასთან ერთად უძღვნის დაფნის გვირგვინს.
1902 წ. ფოთი. ხელნაწერი. შავი მელანი. მინაწერი – შესრულებულია ფანქრით. 3 გვ.

იმერეთის ქართული საზოგადოების მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

ქ. ფოთის საზოგადოების სახელით, ევგენი მიხეილის ძე გაბუნიას მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, მისი სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილის აღსანიშნავად.
1902 წ. ფოთი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

ქუთათური გიმნაზიელების მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ქუთაისი. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

სოფ. ახალქალაქის საზოგადოების მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის იუბილეს აღსანიშნავად (თარიღი მინიშნებული არ არის. სავარაუდოდ, ულოცავენ მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს).
ხელნაწერი. წითელი მელანი. 1 გვ.

საჩხერის საზოგადოების მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად.
1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: კნენინა ელდიკო წერეთლისა, ფილიპე მგალობლიშვილი, სერგი ტინქველაშვილი, ფარნაოზ ქავთარაძე, იასონ ლამბაშიძე, კონსტანტინე წულუკიძე, გრიგოლ კვიციანიშვილი, თ-დი ბეჟან წერეთელი, ყარამან ჩხეიძე, იაკობ იაკობაშვილი, დავით დევიძე, იუსტინე მგალობლიშვილი, სერგეი ლორდქიფანიძე, დავით მაჭავარიანი, ალექსი გოგუა, ვიქტორ იუსკევიჩი, აბიათრ იაკობაშვილი. შავი მელანი. 2 გვ.

უცნობი ავტორის მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ხელნაწერი. შავი მელნი. 4 გვ.

მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჭიათურიდან.

1902 წ. ჭიათურა. ხელნაწერი. ხელს აწერენ: თავ. გრიგოლ აბაშიძე, თავ. რეპშოვი, ვასილ იურკევიჩი, ეკატერინე ოთხმეზურისა, ბესარიონ ვაშაძე (მასწავლებელი), თავ. კ. თუმანიშვილი, ვლ. ჩაჩავა, კალისტრატე ჭიჭინაძე, იაკობ ვაშაძე, ალ. გალუსტოვი, ვანო ყურულიშვილი, სიმონ თაბუკაშვილი, მიხა მაჭავარიანი, კიტა აბაშიძე, უშანგი საბაშვილი, კონია ავალიანი, მიხეილ გურგენიძე, ალკივიად ენოპულო, ივ. ყაუხჩიშვილი, ვალენტინ ბლუმგარდი, მიხეილ ფეიქაროვი, ნიკოლოზ ოთხმეზური, ვარლამ მგელაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, კონსტანტინე კიკიანი, ანდრო კობიძე, ვანო ჯავახიშვილი, ირაკლი დეკანოზიშვილი, პავლე ამალლობელი, ილიკო მიქაძე, ა. აბესაძე, ილარიონ იაყიშვილი, იოსებ პატარიძე, სერგეი პარიკოვი, კონსტანტინე ლეკვეიშვილი, გიორგი გორდაძე, გიორგი ცქიტიშვილი, მიხა მაჭავარიანი, ბესარიონ დოლონაძე, ს. ჯავახაძე (2 გვარი არ იკითხება. სულ 42 ხელმოწერა). შავი მელნი. 4 გვ.

ი. ევდოშვილის საიუბილეო მილოცვა და ლექსი მიძღვნილი ვასო აბაშიძისადმი. ხელნაწერი. ფანქარი. 2 გვ.

ბაქოელი ქართველების სახელით, მსახიობის (გვარი უცნობია) მისალოცი სიტყვა, ვასო აბაშიძის 25 წლის იუბილეზე. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

გიორგი ახვლედიანის მისალოცი სიტყვა, ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეზე. სიტყვას წამძღვარებული აქვს ბოლო სტროფი ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „მერანი“.

ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

ქუთათურ მონაფეთა მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

ახალ-სენაკის საზოგადოების სახელით, ვიქტორ გიორგის ძე ბერიძის მიერ 1902 წ. 14 მარტს, ქუთაისში წაკითხული ადრესი ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

ქუთაისის სახალხო თეატრის კომიტეტის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელნაწერი. ხელს აწერენ: ეკატერინე ნიკოლაძე, სალომე კერესელიძე, ვასო თუმანიშვილი, იაზონ ბაქრაძე, ნატ. ქოქრაშვილი, კლ. ქოქრაშვილი, ალ. ქოქრაშვილი, სიმონ ქვარიანი. შავი მელანი. 3 გვ.

ქუთაისის წმ. ნინოს მე-9 კლასის მონაფეთების მილოცვა ვასო აბაშიძისადმი სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ვლადიკავკაზის სასწავლებლის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 3 აპრილი. ხელნაწერი. ხელს აწერს: პართენ გოთუა. შავი მელანი. 1 გვ.

ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის მონაფეთა ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს მონყოფასთან დაკავშირებით.

1902 წ. 27 თებერვალი. დასტამბული. 1 გვ.

კუკიელთა წარმომადგენლის, მიხეილ სიმონიძის მისალოცი ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად.

1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. 3 გვ.

რევაზ ფავლენიშვილის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.

1902 წ. 5 მარტი. ცხინვალი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

ა. ადამიძის ლექსი, მიძღვნილი ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი.
ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

უცნობი ავტორის მიერ მიძღვნილი ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავად.
ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

ქართველი მსახიობის მისალოცი სიტყვა (ვინაობა უცნობია), წარმოთქმული ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეზე.
ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

ტფილისის საზოგადოების (მოსამსახურეთა) მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. ხელს აწერენ: ვასილ კირვალიძე, სევერიან ჯალალონია, ილიკო მენაბლიშვილი, სპირიდონ კირვალიძე, ნესტორ კირვალიძე, ვანო კირვალიძე, ფილიპე კირვალიძე, დავით დათეშიძე, კონსტანტინე გოცირიძე, სერაპიონ ცხვედიანი, პავლე ქემოკლიძე, დიმიტრი ჯაში, სერგი ჯაში, სერგეი მაგრაქველიძე, ანტონ ალავიძე, სვიმონ ჩიქვილაძე, თედო დადვაძე, ალექსი მღვდელაძე, ტრიფონ გოცირიძე, ილიკო ხომასურიძე, მიხეილ სხირტლაძე, ლევან ენუქიძე, დავით კერესელიძე, მათე კერესელიძე, ვასილ კერესელიძე, გიგო კობიევ, დიმიტრი კერესელიძე, ალექსი ჩუბარაშვილი, ნესტორ სითაიაშვილი, სპირიდონ არჩვაძე, კიმოთე კერესელიძე, გიგო კერესელიძე, ივანეიშვილი, ნაფარიშვილი, სვიმონ ჯაფარიძე, ალექსი კურცხალია, სვიმონ კირვალიშვი, მიხეილ გოგელიძე, ალექსი ჭელიძე, ივანე გოცირიძე, ერმილე ლეჟავა, ალექსი შველიძე, ეფ. მეტონიძე, პეტრე დალაქიშვილი, მაკსიმე გორგასლიძე. შავი მელანი. 3 გვ.

კახეთის სცენის მოყვარეთა მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
დასტამბული. ხელს აწერენ: ქეთო ზარაფიშვილისა, ეკატერინე ჭავჭავაძისა, ალექსანდრა იაშვილისა, ანნა ჭავჭავაძისა, სოფიო ანდრონიკაშვილისა, ნინა გამყრელიძისა, ქეთო სიდომონოვისა, თავ. ლევან ვახვახიშვილი, ნოე რამიშვილი, სოლომონ გოშაძე, ივანე კაკაბაძე, ნიკოლოზ ნიკოლიშვილი, არჩილ გამყრელიძე, ზაქარია ბადურაშვილი, ივანე გამყრელიძე, გარაგინ ტერ-არუთინოვი, მელიქ ახმამუდოვი, ე. დანდუროვა. 1 გვ.

„მზარეული ამხანაგობის“ მისალოცი ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

კონსტანტინე აბულაძის მისალოცი ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

დათიკო ბიაშვილის ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. 2 გვ.

უცნობი ავტორის ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი, 3 გვ. შესრ. შავი ფერის მელნით

ს. ქვარიანის ლექსი მიძღვნილი ვასო აბაშიძისადმი სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. 3 მარტი. ქუთაისი. ხელნაწერი. 2 გვ. შავი მელანი.

მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
თელავი. ხელნაწერი. შავი მელანი. 4 გვ.

თეატრის სუფლიორი ბეგლარიძის ლექსი მიძღვნილი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. 10 მარტი. ნაბეჭდი. 3 გვ.

ვარდენ ყიფიანის სიტყვა წარმოთქმული 14 მარტს, ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეზე (ლექსი). 1902 წ. 14 მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს აღსანიშნავი ბარათი.
1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. სომხურ ენაზე. 1 გვ.

თეატრის სუფლიორ ბეგლარიძის ლექსი მიძღვნილი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. 4 გვ.

მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი ნ. და ი. ყ.... საგან (გვარი არ იკითხება). 1902 წ. 14 მარტი. ახალ-სენაკი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

გაზეთ „კვალის“ თანამშრომელთა მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეოდ. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

სცენისმოყვარე ახალგაზრდობის მილოცვა ლექსად ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

უცნობი ავტორის ლექსი მიძღვნილი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

ვ. კირვალიძის მისალოცი ბარათი თბილისის მოსამსახურეთა მინდობილობით ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. ბარათი დასტამბულია, გარშემო ოქროსფრად მოვარაყებულნი არიან; ბარათის შუა ზედა ნაწილში, ასევე ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმული ზამთრის პეიზაჟის აპლიკაციით შავი მელანი. 4 გვ.

დრამატული საზოგადოების საიუბილეო მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. მხატვრულად გაფორმებული (მხატ. ალ. მრეველიშვილი). ნახატი გრაფიკულია, ზეციდან დაშვებულ ანგელოზს, რომელიც შესაძლოა თეატრალურ მუზად ჩაითვალოს, ხელში დაფნის გვირგვინი და ჩანგი უჭირავს. ის მოემართება ქვაზე ჩამომჯდარი, თავჩარგული, სავალი გზით დამაშვრალი მგზავრისაკენ, რომელსაც ზურგზე სხვადასხვა თეატრალური ნიღაბი ნამოუკიდებია. ხელს აწერენ: დრამატ. საზოგადოების თავმჯდომარე – ნ. ქართველიშვილი, ს. მაგალობლიშვილი, ს. კლდიაშვილი, ი. ავალიშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი. შავი მელანი. 1 გვ.

სოფ. ახალქალაქის საზოგადოების მილოცვა ვასო აბაშიძისადმი.
1893 წ. 27 ივლისი. ხელნაწერი. ავტოგრაფებით: ეკ. გაბაშვილისა (ქალიშვილობის გვარითარხნიშვილი), ილიკო თარხნიშვილი, მიხეილ თარხან-მოურავი, ბარბარე მის. ასული თარხან-მოურავი, ოლღა საყვარელიძე-ბეჟანოვისა, კნეინა ნინო თარხან-მოურავისა, თავ. გიორგი გრუზინსკი. შავი მელანი. 1 გვ.

ვარლამ ბურიჭანაძის მისალოცი, სოფ. დიშის მოსახლეობის სახელით, ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

ბაქოელი ქართველების მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
1902 წ. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

ქუთაისელი ნოქრების მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. ხელს აწერენ: ნიკო ჩიქოვანი, ნიკოლი ვასაძე, სამსონ კალანდარიშვილი, კონია არობელიძე, ვიქტორ ბალანჩივაძე, გიორგი ჩიქოვანი, ლექსო გაგუა, ისაკ თალაკვაძე, გიორგი ასათიანი, ნოე აბრამიძე, ერასტი ბალანჩივაძე, დ. ბოკერია, ილია ქილაკავა, ილიკო ჩხეიძე, მოსე შენგელია, მოსე ლეჟავა, მაქსიმე ზვიადაძე. შავი მელანი. 2 გვ.

ვერის ახალგაზრდა ხელოსნების მისალოცი ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.
ხელნაწერი. შავი მელანი. 1 გვ.

ვლადიმერ ლოლუას მისალოცი ლექსი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელნაწერი. შავი მელანი. 2 გვ.

გორის მაზრის ქართველი მოსახლეობის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

პირი: თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილი (გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღვარი); გ. სააკოვი (გორის მოურავი), თავ. სვიმონ ვეზიროვი, ნინა მაკარაშვილისა, ილია მაკარაშვილი, გიორგი ჟურული, კნენა მაკრინე ამირეჯიბისა, თავ. სარდიონ ამირეჯიბი, თავ. მიხეილ ერისთავი, ივანე სულხანიშვილი, მარიამ სულხანიშვილი, ნ. ნათიძე, ნ. ლომოური, თავ. გრ. დიასამიძე, ალ. ყანჩაველი, ლევან ყიფიანი, თავ. ნიკო თუმანიშვილი, თავ. ამირეჯიბი, დ. დეკანოზიშვილი, კ. გარაყანიძე. 1902 წ. დასტამბული. 1 გვ.

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

დასტამბული, შევსებული ხელნაწერით. მისალოცს დართული აქვს მიმოცველთა სია: გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღვარი თავ. გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი, გორის მოურავი იოს. გ. სააკოვი, თავ. სვიმონ ვეზიროვი, ნინა მაკარაშვილისა, ილია მაკარაშვილი, გიორგი ჟურული, კნენა მაკრინე ამირეჯიბისა, თავ. სარდიონ ამირეჯიბი, თავ. მიხეილ ერისთავი, ივანე სულხანიშვილი, მარიამ სულხანიშვილისა, ნ. ნათიძე, ნ. ლომოური, თავ. გრ. დიასამიძე, ალ. ყანჩაველი, ლევან ყიფიანი, თავ. ნიკო თუმანიშვილი, თავ. ამირეჯიბი, დ. დეკანოზიშვილი, კ. გარაყანიძე. შავი მელანი. 1 გვ.

რკინიგზის ქართველ მოხელეთა მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელნაწერი. მისალოცს ხელს აწერს ს. ჭყონია. დეკორატიული ადრესი შავი მელანი. 1 გვ.

ეფ. მესხის მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. დეკორატიული, ფერადი ყვავილებითა და ანგელოზების გამოსახულებით გაფორმებული ადრესი. შავი მელანი. 1 გვ.

კნენა ნინო ორბელიანის ლექსი მიძღვნილი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 10 მარტი. დასტამბული. დეკორატიულ ადრესი. ოქროსფერი საღებავი. 1 გვ.

კ. მესხის მილოცვა ლექსად ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. დეკორატიულ ადრესი. 1 გვ.

აბაშიძეთა საგვარეულოს მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ულოცავენ და ატყობინებენ, რომ საიუბილეოდ მშობლიურ სოფელ დურევეში საჩუქრად უძღვნიან სააგარაკე მიწის ნაკვეთს, ხოლო სოფელ არგვეთაში, აბაშიძეთა მიერ შექმნილი მიწის ნაკვეთი გადაეცემა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოებას, რათა იქ ვასო აბაშიძის სახელზე დაარსდეს სკოლა.

ხელნაწერი. ხელს აწერენ: დიმიტრი, ანტონ, იოსებ, ვლადიმერ, მიხეილ აბაშიძეები. დეკორატიული, ფერადი ყვავილებითა და ანგელოზების გამოსახულებით გაფორმებული მისალოცი ადრესი. შავი მელანი. 1 გვ.

სავარაუდოდ, სომხური თეატრის მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელნაწერი. ავტოგრაფებით. დეკორატიული, ფერადი ყვავილებითა და ანგელოზების გამოსახულებით გაფორმებული მისალოცი ადრესი შავი მელანი. სომხურ ენაზე. 1 გვ.

მეორე გიმნაზიის ქართველი მოსწავლეების მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. გამოუხატავენ სიყვარულსა და თაყვანისცემას.

1902 წ. 10 მარტი. დასტამბული. დეკორატიული, დამატებით ფერადი ატლასისაგან დამზადებული ფერადი ყვავილებით გაფორმებული. 1 გვ.

ქუთაისის თეატრის დასის მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 14 მარტი. ქუთაისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვასო ბალანჩივაძე, მიხაკო ჯანოევი (ნემო), დესმინე ივანიძე, დათიკო ჩარკვიანი, მიმა მარ-

ჯანიშვილი, ვასიკო აბულაძე, სამსონ ფრანგულიანცი, აკაკი ტყემელაშვილი, ლიზა გვეტაძე, გრიგოლ ჩარკვიანი, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, პანტელეიმონ ჩიქვინიძე, იოსებ ზარდალიშვილი, გიორგი თუთბერიძე. შავი მელანი. დეკორატიული, ფერადი ყვავილებით გაფორმებული. 3 გვ.

ქ. ტომსკში მცხოვრები, მისი ხელოვნების თაყვანისმცემელი ქართველების მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 17 აპრილი. ქუთაისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: დიმიტრი თუმანოვი; სტუდენტები: ნ. კ. რაზმაძე, ან. ტყემალაძე, პავლე საყვარელიძე, დანიელ ყიფიანი, ილია შვანგირაძე, სიმონ ჯორბენაძე, მიხეილ ნიკურაძე, იაკოფი ზურაბოვი, ალექსანდრე დოლონაძე; დანარჩენი ქართველები: ილია თავზარაშვილი, გიორგი ჯაყელი, კონსტანტინე გრიგოლია, სიმონ სამსონის ძე წერეთელი, სოლომონ ბესიაშვილი, ა. ჟორდანი. შავი მელანი. დეკორატიული, ფერადი ყვავილებით გაფორმებული. 1 გვ.

გაზეთ „ივერია“-ს მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ადრესი წარმოადგენს იაკობ ნიკოლაძის ნახატს. ადრესის შუაგულში განთავსებულია მისალოცი ტექსტი.

1902 წ. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ილია ჭავჭავაძე, დრ. რედაქტორი – ალ. სარაული, ივ. ახალშენიშვილი (ინ-ანი), გიორგი დეკანოზიშვილი, შ. საფაროვი, კ. მესხი, ნიკო ხინიანიშვილი, ი. აგლაძე, თ. მაგმაძე, ა. ახნაზაროვი, გრ. ყიფშიძე, ივ. მაჭავარიანი, კალაძე, იაკობ ნიკოლაძის ავტოგრაფი – ინიციალები „ი“. „ნ“. შესრულებულია ოქროსფერი საღებავით. შავი მელანი. 1 გვ.

გურიის საზოგადოების მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1902 წ. 10 მარტი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ნიკო თავდგირიძე, ილია ჭყონია, ივანე იონაშვილი, სამსონ ვაშაყმაძე, ივანე ძიძიშვილი, კონსტანტინე კვაშალი, თავ. ჯამბაკურ გურიელი, თავ. ვახტანგ გურიელი, თავ. ტელემაკ გურიელი, ვარდენ გურიელი, ჯამულგო ბაჟუნაიშვილი, იულო ბაჟუნაიშვილი, სოსო ბაჟუნაიშვილი, ალ. გრინიციკი-დარახველიძე, დიმიტრი ძნელაძე, მელქისედექ მახარაძე, ნესტორ კალანდარიშვილი, თ. მელქისედეკი, გ. ნაკაშიძე, პლატონ ბერიძე, სოლომონ ჭეიშვილი, ასალ ჯემელი, ყასუმ ბერიძე, ვასილ ჭეიშვილი, რაჟდენ წუნუნავა, ბესარიონ ბერიძე, ალექსანდრე წუნუნავა, დათა დათუნაშვილი, გოგი დათუნაშვილი, ივანე მგელაძე, სიმონ დათუნაშვილი, ივანე ძიძიშვილი, კონია თავართქილაძე. შესრულებულია თეთრი მუყაოს ჭვირნიშნიან ქაღალდზე, შავი მელანი. ჭვირნიშნიანი. 1 გვ.

ნაძალადევის მცხოვრებთა დეკორატიულად გაფორმებული მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

1897 წ. 10 აგვისტო. დასტამბული. ტექსტი შესრულებულია ოქროსფერი საღებავით. 1 გვ.

მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ხელნაწერი. მისალოცი წარმოადგენს შავი ფერის მუყაოს ქაღალდს, წითელი ფერის საღებავით შესრულებული ტექსტითა და ზედა მარცხენა კუთხეში ჩახატული სოფლის პეიზაჟით. წითელი საღებავი. 2 გვ.

ქართული დრამატიული საზოგადოების ადრესი ვასო აბაშიძისადმი, რომელშიც აუნყებენ, რომ აირჩიეს დრამატიული საზოგადოების საპატიო წევრად.

1913 წ. 22 აპრილი. დასტამბული. ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე – ნ. ტარსაიძე და გამგეობის მდივანი – კონ. ანდრონიკაშვილი. ავტოგრაფებითა და დრამატიული საზოგადოების დამლით. დეკორატიულად გაფორმებული. 1 გვ.

ქუთაისის თეატრის მსახიობთა მილოცვა ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავად).

1918 წ. 16 მაისი. ხელნაწერი. ავტოგრაფებით: მ. ჭიაურელი, ნ. ჩხეიძე, ალ. ყალაბეგიშვილი, ანდ. მურუსიძე, მ. ქორელი, ე. ჩხიკვაძე, ო. ლოლობერიძე, გრ. ჩარკვიანი, კუკური პატარიძე, შ. გომელაური, გ. ციმაკურიძე, მ. ნემო (ჯანოევი). შავი მელანი. შესრულებულია თეთრი ფერის მუყაოზე. 1 გვ.

რუსი კოლეგების სასცენო მისალოცი ვასო აბაშიძისადმი, მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ხელნაწერი. ავტოგრაფებით: ვლ. ერმოლოვი, ე. ოკოვი, ა. გოლოვინა, ნ. კაშევსკი, ი. იაფონტოვი, ო. გოლუბევა, შულგინი, სოფია ვოიხოვსკაია, ა. ტუგანოვი, პესტოვსკი, იაჩმინევი, კორბინი, დოლიკინი, ანგილევა (სულ 45 ავტოგრაფი).

ყველა არ იკითხება). მწვანე მელანი. ადრესის პირველი გვერდი მოხატულია ფერადი საღებავებით. რუსულ ენაზე. 4 გვ.

ავლაბრის გამგეობის მისალოცი ადრესი ვასო აბაშიძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

